ობსერვატორიის დირექტორის შრომითი პირობები

მუხლი 1. უფლებამოსილება და ფუნქციები

ობსერვატორიის დირექტორი ხელმძღვანელობს ობსერვატორიას და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობებში. მისი უფლებამოსილება და ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, რის საფუძველზეც იგი:

ა) შეიმუშავებს ობსერვატორიის სტრუქტურისა და საშტატო განრიგის პროექტს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აცხადებს კონკურსებს/მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციას, განსაზღვრავს კონკურსის/მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ატესტაციის ჩატარების წესსა და პირობებს, აგრეთვე, სამეცნიერო თანამდებობებზე თანამშრომელთა შერჩევის მიზნით, სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით, ქმნის საკონკურსო კომისიებს;

გ) ითანხმებს ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების დებულებებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს;

დ) საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, მათ შორის კონკურის წესით დასაკავებელ თანამდებობებზე ნიშნავს და ათავისუფლებს ობსერვატორიის თანამშრომლებს, უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას. უფლებამოსილია კონკრეტული სამუშაოს შესრულების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შრომითი ხელშეკრულება გააფორმოს შტატგარეშე მომუშავესთან;

ე) ამტკიცებს სამეცნიერო საბჭოს მიერ არჩეულ პირს ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე;

ვ) ხელს უწყობს კონტაქტების განვითარებას საქართველოსა და უცხო ქვეყნების სამეცნიერო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ობსერვატორიის სახელით დებს მათთან ხელშეკრულებებს;

ზ) არაუმეტეს საკუთარი უფლებამოსილების ვადით ნიშნავს დირექტორის მოადგილეს/მოადგილეებს და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს იმ მოადგილეს, რომელიც მისი არყოფნისას ასრულებს დირექტორის უფლებამოსილებებს;

თ) ხელს უწყობს მეცნიერი თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას;

ი) ამტკიცებს დაწესებულების ბიუჯეტს ობსერვატორიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების წარდგინებით;

კ) წარუდგენს ობსერვატორიის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს;

ლ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ობსერვატორიის ფინანსურ სახსრებს და მასვე ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა ობსერვატორიის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

მ) უფლებამოსილია ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით დაადგინოს ობსერვატორიის მიერ გაწეული მომსახურების საფასური;

ნ) ამტკიცებს ობსერვატორიის შინაგანაწესს;

ო) უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამშრომელთა მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები;

პ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

ჟ) სამეცნიერო საბჭოსთან შეთანხმებით ამზადებს ობსერვატორიის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ ინიციატივას და დასამტკიცებლად წარუდგენს სამინიტროს;

რ) საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას განსახილველად წარუდგენს ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ობსერვატორიის საქმიანობის წლიურ სამეცნიერო ანგარიშს;

ს) პასუხისმგებელია ობსერვატორიის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

ტ) ითავსებს ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობას და შესაბამისად, მონაწილეობს სამეცნიერო საბჭოს საქმიანობაში;

უ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 2. უფლებამოსილების ვადა

1. ობსერვატორიის დირექტორს სამეცნიერო 5 წლის ვადით ირჩევს ობსერვატორიის საბჭო და ბრძანებით ნიშნავს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი.
2. ერთი და იგივე პირი დირექტორად ზედიზედ შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.
3. 65 წლის ასაკის მიღწევა არ იწვევს ობსერვატორიის დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

ობსერვატორიის დირექტორის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება ობსერვატორიის საშტატო განრიგი, რომელსაც ამტკიცებს ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭო და ითანხმებს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

მუხლი 4. სამუშაო ადგილი

ობსერვატორიის დირექტორის სამუშაო ადგილი არის ქ. თბილისი (მ. კოსტავას ქ. №47/57, მე-5 სართული) და დაბა აბასთუმანი (მთა ყანობილი).